8
3-253

აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ელისო ანდროს ასული ფანცხავა

სტივენ დედალოსის მხატვრული სახის ინტერპრეტაციისათვის ჯეიმზ ჯოისის შემოქმედებაში

10. 01. 05 – ევროპის და ამერიკის ლიტერატურა

ავტორეფერატი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

ქუთაისი
1998

ნაშრომი შესრულებულია აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი მ. გელაშვილი

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მ. ნათაძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ე. თოფურიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ი. კენჭოშვილი

წამყვანი ორგანიზაცია: თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება- - - - - 18/12 - - - - - - - - - - - - - -
1998წ. -11- საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
P10:05 C №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 26.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში:
ავტორეფერატი დაიგზავნა- - - 18/11 - - - - - - - - 1998წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

რ. ციხითათრიშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ჯეიმზ ჯოისი, მე–20 საუკუნის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მწერალი სამართლიანადაა მიჩნეული მოდერნისტული ლიტერატურის მეტრად და ცნობიერების ნაკადისეული ლიტერატურის ფუძემდებლად. სავსებით მართებულად თვლიან, რომ მეოცე საუკუნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა მწერალმა განიცადა ერთგვარი "ჯოისიზირება". ჯეიმზ ჯოისი იქცა იმ მწერლად, რომლის შემოქმედებაშიც განსაკუთრებული სისავსით განხორციელდა მოდერნისტული ესთეტიკისა და მხატვრული ძიების ამოსავალი პრინციპები. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ ქვეტექსტს წარმოადგენს უკიდურეს ინდივიდუალიზმს შერწყმული შემზღუდველი გაცნობიერება იმ ფაქტისა, რომ ადამიანი ბრბოს წევრია. მოდერნიზმი პიროვნების სულიერი ავტონომიის, ინდივიდუალური ნების უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს ლიტერატურაში და ჯოისის ერთ–ერთი ყველაზე უფრო ავტობიოგრაფიული გმირის, სტივენ დედალოსის მხატვრული სახეც აღიქმება სიმბოლოდ მარტოხელა, მეამბოხე ხელოვანისა, რომელიც თავის შემოქმედებაში მთელი ეპოქის გონებრივი სტერეოტიპის გადალახვას ლამობს.

<u>შრომის აქტუალობა</u>: ჯეიმზ ჯოისის შემოქმედების ირგვლივ უამრავი კრიტიკული ლიტერატურაა შექმნილი. ამის გამომწვევ მიზეზად, რა თქმა უნდა, "ულისე" იქცა– რომანი, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა მეოცე საუკუნის ლიტერატურაში. კ. ჯ. სანდულესკუს სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯოისის შემოქმედების მკვლევარი ორმაგი სირთულის წინაშე დგას–"ულისეს"

ლაბირინთებში გარკვევას ამ უზღვავ კრიტიკულ მასალაში გზის გაკვლევაც ემატება. ქართული ჯოისოლოგიაც, რომლის შექმნაც მთლიანად ბ–ნ ნ. ყიასაშვილის, "ულისეს" ქართულად მთარგმნელისა და ინტერპრეტატორის დამსახურებაა, ძირითადად აღნიშნულ რომანზეა